DIFFERENT OPINION | განსხვავებული მოსაზრება

ALL GEORGIANS, THE KING ST. TAMAR'S RESTING AND BURAL PLACE "PANTHEON OF SAINT TAMAR, QUEEN OF GEORGIA"*

წმინდა თამარის ქართველთა მეფის გასვენება და დაკრძალვის ადგილი. „წმინდა ერთგული მეუღლის თამარის მეფე ქართველთა" პანთეონი**

Ramaz Pirtskhalava
ORCID ID: 0000-0001-6295-4967
rapira49@mail.ru

Abstract

The article reviews the topic of the burial of Saint Tamar Queen of Georgia and provides evidence on the presumed location; For the first time publishing the uncovered facts that allow demonstrate the amount of effort taken by the royal family, state, and the church of Georgia, to undertake what is the greatest clandestine operation of the Millenia, having no analogy worldwide, of secretly transporting the coffin of the queen, selection of the location for the burial, and the construction of unique temple - "Pantheon of Saint Tamar, Queen Of Georgia" - with utmost secrecy. The intended objective was accomplished flawlessly. The secret is now 800 years old.

It was not enough to just secretly bury the coffin. They also wanted to find a way to let the far future generations of Georgian people find out; to let them know the truth and give them a reason to be proud of their ancestors and saints, to pray for them, and be under their protection. The ways used for achieving these were uncovered and they're covered in detail in the article.

Key words: Burial of Saint Tamar Queen, Tower church, Bagrati Cathedral, Gelati Monastery.

* From the Editorial Board: The editorial board of the Journal does not share the author's viewpoint.

** რედაქციის მინაწერი: ჟურნალის სარედაქციო კოლეგია არ იზიარებს ავტორის თვალსაზრისს.

რამაზ ფირცხალავა
ORCID ID: 0000-0001-6295-4967
rapira49@mail.ru

აბსტრაქტი

სტატიაში განიხილება საქართველოს მეფის წმინდა თამარის დაკრძალვის საკითხები, განსაზღვრულია და მოყვანილია მტკიცებულებები მისი სამარხი ადგილის შესახებ. პირველად ქვეყნდება აღმოჩენილი ფაქტები, რომლებიც ამას ადასტურებენ და გვაძლევენ საშუალებას შევაფასოთ უდიდესი სამუშაოს გამხელისა და ჩვენების, როგორიცაა საქართველოს სამეფო ოჯახის, სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ჩატარებული მსოფლიოში ანალოგის არმქონე ათასწლეულის უმსხვილესი საიდუმლო ოპერაცია, რომელიც ეხება დედოფლისა და წმინდანის კუბოს გატანასა და ტრანსპორტირებას, დაკრძალვის ადგილის განსაზღვრას, დიდებული, უნიკალური ტაძრის - „წმინდა ერთგული მეუღლე თამარის მეფე ქართველთა“ პანთეონის მშენებლობა და ტერიტორიის მოწყობა, საიდუმლოების და კონსპირაციის ყველა ნორმის დაცვით. დავალება ბრწყინვალედ შესრულდა. ეს გამოცანა 800 წელზე მეტისაა.

როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო საკმარისი. სხეულის დამარხვა ადვილი იქნებოდა. მაგრამ ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მონახულიყო საქართველოს მომავალი თაობისთვის ამ საიდუმლოს მიტანის ხერხი, ეცნობებინათ სიმართლე, მიეცათ საშუალება ეამაყათ თავისი წინაპრებითა და წმინდანებით, ელოცათ მათზე და ყოფილიყვნენ მათი მფარველობის ქვეშ.

საკვანძო სიტყვები: თამარ მეფის დაკრძალვა, ნერლის საფარველის ეკლესია, შუაგუმბათოვანი ეკლესია, კოშკისებური ეკლესია, არქიტექტურულ-სვეტოვანი სარტყელი, ბაგრატის ტაძარი (საქართველო), გელათის მონასტერი (საქართველო)

შესავალი

2015 წლიდან მოყოლებული ვცდილობ შევატყობინო ქვეყნის ხელმძღვანელობას და მეცნიერთა საზოგადოებას ჩემთვის ცნობილი მონაცემები თამარ მეფის დაკრძალვის ადგილის შესახებ. ჩემდა სამწუხაროდ, მცდელობები უშედეგოდ მთავრდებოდა, არ იწვევდა ინტერესს. საკითხი აქტუალურია, მას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ისტორიული, ასევე კულტურული თვალსაზრისით.

მეთოდი

გამოიყენება ქ. ბოგოლიუბოვოში (რუსეთი, ვლადიმირის ოლქი) მდინარე ნერლიზე არსებულ საფარველის ეკლესიის ქვის კედლებზე დატანილი ასოებისა და ნიშნებისაგან შემდგარი სტრიქონების და წმინდა თამარის ხატის ტექსტის შედარებითი ანალიზი. ქრისტიანული სიმბოლოების და ბარელიეფების ანალიზი, რომლებიც გამოყენებულია პანთეონის მშენებლების მიერ და მათი განმარტებები.

შედეგები

საქართველოს მეფე თამარი დაკრძალულია რუსეთში, ქალაქ ბოგოლიუბოვოში, მდინარე ნერლის პირად აღმართულ საფარველის ეკლესიაში.

მსჯელობა

რუსეთში, ქალაქ ბოგოლიუბოვოში, მდინარე ნერლიზე აღმართულია საფარველის ეკლესია (იხ. „საფარველის ეკლესია მდინარე ნერლიზე“. გამოცემულია, იღუმენი-როჟდესტვენსკის ღვთისმშობლის მამათა მონასტრის იღუმენის კირილის მხარდაჭერით). ეს XII საუკუნის არქიტექტორული ძეგლი, იუნესკოს დაცვის ქვეშაა. კედლები მორთულია სხვადასხვა ქვის ბარელიეფებით, ამოკვეთილი ასოებით და ნიშნებით. ეს ცნობილი ძეგლი, უკვე დიდი ხანია, შესწავლილი და აღწერილია რუსი მეცნიერების მიერ. ინფორმაცია ადვილი მოსაძიებელია სხვადასხვა ღია წყაროებში. არსებობს ამ ბარელიეფების და ნახატების სხვადასხვაგვარი აღწერილობა, ინტერპრეტაცია და კომენტარი, როგორც სწორი, ასევე მცდარი. განსაკუთრებით ღირებულია კედლებზე დატანილი ასოები და ნიშნები, რომელთა წაკითხვისა და არცთუ ისე რთული გაშიფვრისას, შესაძლებელია მათი აზრისა და ამ ეკლესიის მნიშვნელობის გაგება.

შევადაროთ წმინდა თამარის ხატზე (ტიპოგრაფიულად დაბეჭდილი და რუსეთში მდებარე ქართულ ეკლესიაში შეძენილი წმინდა მეფის თამარის ხატი) არსებული ტექსტი (დანართი N1 - ხატი, რომელიც გამოცემულია ტიპოგრაფიული წესით რუსულ ენაზე და შეძენილია ქართული ეკლესიაში, ქ. მოსკოვში), და ამოჭრილი ეკლესიის სამ კედელზე ნახსენები ნიშნები და რუსული ალფავიტის ასოები (სულ შვიდი, წარმოდგენილია ერთი სტრიქონის სახით და დაყოფილია ორ ნაწილად).



№1 №2 №3 №4 №5 №6 №7

ჩვენი კვლევის თანახმად, ეს სტრიქონი ადვილად იკითხება, რადგან შედგენილია ხატზე გამოსახული სიტყვებისგან, რომლებიც ამ სტრიქონში წარმოდგენილია პირველი ასოებით.

მაშ ასე, ხატის პირველ გვერდზე (დანართი N1) დატანილი ტექსტი პასუხობს კითხვას, თუ ვინ არის გამოსახული ხატზე, კერძოდ, ხატზე რუსულ ენაზე დატანილია შემდეგი ტექსტი: «Святая благоверная ТАМАРА ЦАРИЦА ГРУЗИНСКАЯ». ითარგმება:The burial ceremony of King Tamar, the pantheon of Devoted Wife St. Tamara, the King of All Georgians.” Nerli, Church of the Veil. Domed church. Tower church. Architectural Column Belt. Bagrati Cathedral (Georgia); Gelati Monastery (Georgia)

აღნიშნული ტექსტი შევადაროთ ბარელიეფის სტრიქონის მარცხენა მხარეს დატანილ ასოებს და ნიშნებს. სადაც №1- ასო „**С**“ არის პირველი ასო სიტყვიდან წმინდა (**С**вятая); №2 - ასო „**Т**“ გახლავთ პირველი ასო სიტყვიდან თამარი (**Т**амара), ხოლო ნიშანი №3 - იგივე - „**б**“, არის პირველი ასო სიტყვიდან ერთგული (благоверная) და ნიშნავს „ერთგულ მეუღლეს“.

რაც შეეხება ნიშანს №4 - აღნიშნული ნიშანი, არის გამარტივებული ქართული ასო „ქ“ და აღნიშნავს პირველ ასოს სიტყვიდან „ქართველთა“. ითარგმნება: **грузинская**. (დედოფალ თამარს წარადგენდნენ, როგორც „მეფე ქართველთა“). ქართული ანბანის ეს ასო, მინიშნება და გზავნილია ქართველი მკვლევარებისთვის - **„ჩვენ აქ ვართ!“.**

წარწერის მეორე ნახევარი (დანართი N2 - ხატის მეორე გვერდი), ანუ ბარელიეფის მარჯვენა ნაწილში ამოჭრილი ასოები აღებულია ხატის მეორე გვერდის პირველი წინადადებიდან და ახასიათებს ხატის პირველ გვერდზე არსებულ ტექსტს - თამარ მეფე არის თავისი „...პაპის დავით III აღმაშენებლის“ წამოწყებების გამგრძელებელი. იგივეა დატანილი ფასადებზეც. მარჯვენა ნაწილი განმარტავს მარცხენას. სადაც №5 - ასო **д** (ხელნაწერი) აღებულია სიტყვიდან პაპა (**д**ед), ნიშანი №6 - რთული ნიშანია და შეიცავს ასოს **В** (მთავრული), ასოს «3» და ციფრს - „3“, რომლებიც აღებულია სიტყვიდან **В**озобновитель (აღმაშენებელი) და რომაული ციფრიდან **III**, ასო №7 - **Д** (მთავრული) პირველია სიტყვიდან დავითი. იდენტიფიკაციაში მნიშვნელობა აქვს ასოს სიდიდესაც - ხელნაწერია თუ მთავრული, ისინი კი წარწერების მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში ემთხვევა ხატის ტექსტის ასოების ზომებს. (დანართი 4 - ბარელიეფის ამსახველი ფოტოსურათი).

ამ ეკლესიის აშენებას უნიკალური თავისებურებები აქვს: ადგილი მიჩენილი აქვს მდინარის კალაპოტში, ნაპირიდან მიყრილი აქვს გაცრილი მიწა, საძირკველი განსაკუთრებულადაა მოწყობილი, ის დგას მუხის ბოძებზე, რომლებიც ტივივით არის დაწყობილი, შემდეგ მასზე აღმართულია 5,3 (ხუთი მთელი და სამი მეათედი) მეტრის ქვის საძირკველი. გასაოცარია სამშენებლო და გეოლოგიური გათვლების ხელოვნება. საუკუნეების განმავლობაში მდინარის დონე ბევრჯერ აწეულა, თუმცა ეკლესია არც ერთხელ არ დაუტბორავს, 1955 წელსაც კი, როცა მდინარის დონემ 6,6 მეტრით აიწია. 20 მეტრიანი ეკლესია - ქვის შენობაა, სიმაღლესთან ერთად ზომაში მცირდება (სიმეტრიულად ვიწროვდება, კოშკივით), რაც მას განსაკუთრებულობას და დიდებულებას სძენს (დანართი N 3 - ეკლესიის გეგმა). სამი მხრიდან კედლებზე ქალის სახის ბარელიეფებია გამოსახული, კედლები მორთულია ქვის ჩუქურთმებით და სამეფო ხელისუფლების სიმბოლოებით ლომებით და გრიფებით. წინიდან, მდინარის მხრიდან, აღმართულ იქნა 60 მეტრიანი განიერი ქვის კიბე და ბორცვის მთელი ნაპირი მოპირკეთებულია ქვის ფილებით (ახლა დაკარგულია). ამგვარი ნიშნები განსაკუთრებულ შენობებს - **პანთეონებს** - ღმერთებისა და წმინდანებისადმი მიძღვნილ ტაძრებს აქვთ, გამოჩენილ მოღვაწეთა, ისტორიულ პიროვნებათა დაკრძალვის ადგილებს. ეს ტაძარი არის „**წმინდა თამარის პანთეონი**“ (დანართი N4 - რეკონსტრუქციის შედეგად აღდგენილი ეკლესიის საერთო ხედი). ეს აღმოჩენა მოხდა სასწაულებრივად, ღმერთის დახმარებით და მე ვარ ავტორი, რომელმაც პირველმა წარმოსთქვა და დაწერა ეს ფრაზა. ამ უფლების განმტკიცებისთვის, ჩემს მიერ დარეგისტრირებულია სავაჭრო ნიშანი - „თამარ მეფის პანთეონი“, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც. სავაჭრო ნიშნის განკარგვის უფლება გადაეცა საქართველოს ეკლესიას, ქალაქ თბილისის დიდუბის ეკლესიის მსახურის მამა დავითის სახით.

იმ პერიოდის ტაძრის ერთადერთი არტეფაქტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია არის შესასვლელი კარების ორი ბრინჯაოს სახელური, რომლებიც შესრულებულია როგორც ადამიანის სახე, კბილებში რგოლებით, ფართოდ გახელილი თვალებით, დამახასიათებელი ქართული ნაკვთებით.

ბოლო კვლევების მონაცემებით, 5-მეტრიან ფუნდამენტში არაფერია აღმოჩენილი. ეკლესიის გვერდით ბოგოლიუბოვოს მდელო-ველია, რომელიც ასევე იუნესკოს დაცვის ქვეშაა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, გათხრები არ ჩატარებულა. ეს ქართული კვალის ახალი არტეფაქტების პოვნის კარგი შესაძლებლობაა. თქმულებების და ქართული ხალხური სიმღერების მიხედვით, დედოფლის ერთგულ ხალხს, რომლებიც დაკრძალვაში მონაწილეობდნენ, ერთმანეთი უნდა დაეხოცათ, რითაც დაკრძალვის ადგილი საიდუმლოდ დარჩებოდა. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თამარის შვილი ლაშა-გიორგი, დედის გარდაცვალების შემდეგ, ათასკაციან ლაშქართან ერთად ლაშქრობაში წავიდა და საქართველოში სამი წელი არ ყოფილა. კიდევ ბევრი რამ, რაც დასადგენია სიმართლის ძიებაში, ვინაიდან ყველა ქართველში ღიმილს იწვევს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, წყაროების მიხედვით, «…გერმანელი გოგა».

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ამ ტაძრის შემქმნელთა სურვილი, რომ სიმართლე საუკუნეების შემდეგ მაინც შთამომავლობამდე მისულიყო და გამხელილიყო ქართველთა ეს საიდუმლო. მინიშნება რამდენიმეა: **ა)** თავად ტაძარი - იმ დროის უნიკალური ნაგებობა, განუმეორებელი არქიტექტურული გადაწყვეტა, ის ახლაც უბადლოა; **ბ)** ქალის სახის მრავალი ბარელიეფი ტაძრის სამ ფასადზე, გარდა აღმოსავლეთისა, საკურთხevლისა; **გ)** ამოკვეთილ რუსულ ასოებს შორის ქართული ასო « ⊟ » სტრიქონის მარცხენა ნაწილში; **დ)** პაპა დავითი სტრიქონის მარჯვენა ნაწილში; **ე)** შემსრულებლების მოხერხებულობისა და ინტელექტის აღნიშვნა და შეფასება მარტივია: სამ ფასადზე დაყენებულია მეფსალმუნე და წინასწარმეტყველი მეფე დავითის ბარელიეფები (დანართი N4 - ფოტოსურათი), რომელიც ტახტზე ზის სალბუნით. მისი მარჯვენა ხელი განზეა გაწეული, იდაყვში მოხრილია და მიმართულია ზემოთ. ზემოთ გახსნილია საჩვენებელი თითი, რომელიც მიბჯენილია ჩვენთვის ცნობილ ასოზე „ T “ (ფოტო თან ერთვის), საჩვენებელი თითი ნიშნავს უდაო განკარგულებას. როგორც ჩანს, ეს არ იყო საკმარისი და **ვ)** ორი სახე სახელურებზე, გამოსახული ფართოდ გახელილი თვალებით, რომლებიც მხილველს ეუბნება: „ხალხნო, გაახილეთ თვალები და მიხვდით, რას გაჩვენებთ“ (დანართი N1). მიუხედავად იმისა, რომ „ვაღიარებთ, რომ ბოლომდე ვერ ვხვდებით სწორედ ამგვარი შედევრის წარმოშობის ხერხს“. (იხ. ვლ. სედოვი, მდ. ნერლიზე მდებარე საფარველის და ბოგოლიუბოვოს ღვთიშობლის შობის ეკლესიები ლომბარდიის რომაული არქიტექტურის ფონზე. არქიტექტურული არქეოლოგია , №2. გვ. 104. რუს. ენაზე), (**ზ)** მარტივია ქართული ეკლესიაების არქიტექტურაში ანალოგების პოვნა, როგორიცაა, შუაგუმბათოვანი ეკლესია, კოშკისებური ეკლესია. ესაა, რათქმა უნდა, განსხვავებული გუმბათი, ბიზანტიური ტიპის ცამჯდარი კვრის მარტივი ვარიანტი, კუთხის სვეტები, არქიტექტურულ-სვეტოვანი სარტყლები, როგორ ეკლესიაზე, ასევე ბაგრატის ტაძარზე (საქართველო),

გელათის ტაძარზე (საქართველო) - საქართველოს სამეფო ოჯახის სასაფლაო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რუსი მეცნიერების მითითება, რომ საფარველის ეკლესია აგებულია 1165 წელს. ამის დაჯერება გვიჭირს, ვინაიდან ეს თარიღი გამოყვანილია სავარაუდოდ და არ არის ზუსტი, ხოლო მათ მიერ გადმოცემულ და ჩამოთვლილ ფაქტებს ისინი განმარტებებს და კომენტარებს არ უკეთებენ. მათ პოზიციაში არ არის ფუნდამენტური მიზეზების ახსნა - რატომ აშენდა ეკლესია მდინარის კალაპოტში, მუხის ბოძებზე, გაცრილ მიწაზე, მაშინ, როდესაც გარშემო ბევრი თავისუფალი მიწაა. რატომ აქვს უზარმაზარი ხუთ მეტრზე მეტი სიღრმის ფუნდამენტი მაშინ, როდესაც იმ დროიდან შემორჩენილ სამ ქვის ეკლესიას მხოლოდ 1 მეტრამდე ფუნდამენტი აქვთ. ამასთან ეკლესია აგებულია მოკლე, ფანტასტიკურ ვადაში - 4 თვეში (ვლადიმირის ქვის საგუშაგო კარიბჭე, დაახლოებით იმავე მოცულობის, აშენდა 6 წელში), ქალის სახის ბარელიეფების არსებობის ფაქტი და ა.შ. რაც მთავარია, მათ მეცნიერებს არ ესმით, რომ ეს ტაძარი არის - პანთეონი. თავს არიდებენ, არ ამჩნევენ და არ უკეთებენ კომენტარს კედლებზე ამოკვეთილ ასოებს და ნიშნებს. ამგვარად, აღწერილი ოპერაციის გარკვეული საიდუმლოობის გათვალისწინებით, ჩვენ ვუშვებთ წყაროებში თარიღების განზრახ დამახინჯებასაც ჭეშმარიტების დაფარვის მიზნით.

დასკვნა

1. ამ სტატიაში მოძიებული და გამოქვეყნებული მრავალი ფაქტი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ თამარ მეფე ნამდვილად დაკრძალულია ქალაქ ბოგოლიუბოვოში, მდინარე ნერლიზე აღმართულ საფარველის ეკლესიაში, რომელიც გამორჩეულია თავისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით და აგებულია ქართველთა მეფის წმინდა თამარის **პანთეონად.**

2. თამარ მეფის გასვენება, XIII საუკუნის დასაწყისში, კუბოს გადატანის პროცედურა, იმ დროის მტრული მუსულმანური სამეზობლოს გარემოში, ჩვენი აზრით, უდიდესი, მრავალწლიანი, ურთულესი და საიდუმლო ოპერაცია იყო, რომელიც სამეფო ოჯახმა, სახელმწიფომ და საქართველოს ეკლესიამ ჩაატარა და რომელსაც მსოფლიოში ვერაფერი შეედრება. უნდა აღინიშნოს მისი შემსრულებლების გულადობა, ერთგულება, თავგანწირვა და გმირობა. ამოცანა მარტივად დაისვა: წმინდა ნაწილები ისე უნდა დაიმარხოს, რომ საიდუმლოდ იქნას გატანილი საქართველოდან, საიმედოდ იქნას გადატანილი უსაფრთხო ადგილას, გამორიცხულ იქნას მათი შებღალვა ახლა და მომავალშიც, დაფარულად აშენდეს ტაძარი-პანთეონი და საიდუმლოდ განხორციელდეს დაკრძალვა. ეს საიდუმლო დიდი ხნით იმგვარად იქნას შენახული, რომ საიდუმლო მხოლოდ ქართველებმა ამოხსნან და ამით შენარჩუნდეს თამარის კავშირი სამშობლოსთან. ამ ოპერაციამ უდიდესი სამუშაოს ჩატარება მოითხოვა, მათ შორის დიპლომატიური, ეკონომიკური, ორგანიზატორული, სატრანსპორტო, სამხედრო, საპროექტო-არქიტექტურული და საინჟინრო-სამშენებლო და, რა თქმა უნდა, შემოქმედთა ხელოვნება - ტაძარი 4 თვეში აღიმართა. ოპერაცია წარმატებით განხორციელდა - ამ ფაქტის გასაიდუმლოების 800 წელი სწორედ ამის დასტურია.

დანართები:

№1. წმინდა მეფის თამარის ხატის პირველი გვერდის ფოტოსურათი; წმინდა მეფის თამარის ხატის მეორე გვერდზე განთავსებული ტექსტის ფოტოსურათი

№ 2. დავით მეფსალმუნის ბარელიეფის ფოტოსურათი



№ 3. საფარველის ეკლესია მდინარე ნერლიზე - გეგმა

№ 4. საფარველის ეკლესია მდინარე ნერლიზე - საერთო ხედი

№ 5. XII საუკუნის არტეფაქტის კარის სახელურის ფოტოსურათი

Рамаз Пирцхалава
ORCID ID: 0000-0001-6295-4967

ПОХОРОНЫ СВЯТОЙ ТАМАРЫ ЦАРИЦЫ ГРУЗИНСКОЙ И ЕЁ МЕСТО ЗАХОРОНЕНИЯ. ПАНТЕОН «СВЯТОЙ БЛАГОВЕРНОЙ ТАМАРЫ ЦАРИЦЫ ГРУЗИНСКОЙ»

Абстракт

В статье рассматриваются вопросы захоронения Святой Тамары царицы грузинкой, определяются и приводятся доказательства места её погребения. Впервые публикуются обнаруженные факты, позволяющие раскрыть и показать огромную работу, проделанную царской семьёй, государством и церковью Грузии по проведению, крупнейшей тайной операции тысячелетия, не знающей аналогов в мире, по вывозу и транспортированию гроба, определению места захоронения, его достойное, царицы и Святой, обустройство и строительство величественного, уникального храма – **Пантеона «Святой благоверной Тамары Царицы грузинской»**, при этом соблюдая все нормы секретности и конспирации. Поставленная задача выполнена блестяще. Этой загадке более 800 лет.

Этого, оказалось не достаточно. Было бы просто захоронить тело. Но, задача заключалась ещё и в том, что бы найти способы донести будущему поколению грузин эту тайну. Сообщить эту правду, предоставить возможность гордиться своими предками и святыми, молиться им и быть под их защитой. Эти способы были найдены и они описываются в статье.

Ключевые слова: похороны царицы Тамары, пантеон «Святой благоверной Тамары царицы грузинской», церковь Покрова на Нерли, центрокупольная церковь, башнеобразность церкви, архитектурно-колончатый пояс, собор Баграта (Грузия), Гелатский монастырь (Грузия).